სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ბადრი (კახა) კვარაცხელია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.18

სამეგრელოს მთავარი კომპეტენცია დავით დადიანის განწესებანი: ,,დარიგება მეორე კლასის მდივანბეგისადმი შესახსენებლად მმართველობისა მათ მიერ მაზრათა და დაწესება ბოქაულთათვის''.

აბსტრაქტი. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა (1812-1856) 1840 წელს განხორციელებული სასამართლო რეფორმებით მდივნებსა და ბოქაულთუხუცესს ახალი წესდება გააცნო. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში გენერალური მდივნის იურისდიქცია. ამ გზით მთავარი ცდილობდა ფეოდალური თვითნებობის აღკვეთას, სასამართლო უფლებამოსილების შეზღუდვას და მთავრის ხელისუფლების გაძლიერებას.

მთავრის განკარგულებით სამეგრელოს სამთავრო რვა მაზრად დაიყო (ზუგდიდის, ჯვარის, ზუბის, სუჯუნის, საჭილაოს, მარტვილის, ლაილაშის და მურის მაზრებად), მაზრას სათავეში ედგა მთავრის მიერ დანიშნული მდივანბეგი, რომელიც აღჭურვილი იყო როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციულ-აღმასრულებელი ხელისუფლებით.

სტატიაში ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია დავით დადიანის რეფორმის მიზანი, განხორციელების გზა და რეფორმის შედეგები. დაზუსტებულია მაზრის ხელმძღვანელთა ვინაობა და რეფორმასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

საკვანძო სიტყვები: სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი, რეფორმა, განწესება, კომპეტენცია, სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება.

---

[1] **ბადრი (კახა) კვარაცხელია.** სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

Badri (Kakha) Kvaratskhelia[2]
Sokhumi State University

Prince of Samegrelo By David Dadiani for Secretaries and for Bokaultukhutses Establishment of Official Charter

Abstract. The Chief of Samegrelo, Davit Dadiani, introduced a new charter to the secretaries and Bokaultukhutses through judicial reforms implemented in 1840.

The jurisdiction of the Secretary General in the principality of Odisha (Samegrelo), like that of other Georgian kingdoms, was quite wide. In this way the chief sought to curb feudal arbitrariness and the curtailment of their judicial powers.
By the decree of the prince, the principality of Samegrelo was divided into eight marzas (Zugdidi, Jvari, Zubi, Sujuni, Satchilao, Martvili, Lailashi and Muri marzas). In the article, on the basis of historical-comparative analysis, the goal of Davit Dadian's reform, the way of implementation and the results of the reform are studied. The identity of the heads of the market and other issues related to the reform have been specified.

***Key words*:** Chief of Samegrelo (Odisha), reform, regulation, competence, judicial and administrative authorities

ძირითადი კვლევა. 1840 წლის დამდეგს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა (1804-1840 წწ.) მთელი ძალაუფლება ოდიშის სამთავროში გადასცა თავის ძეს დავით დადიანს.

ფეოდალური თვითნებობის მოთოკვისა და მთავრის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მან სამეგრელოს სამთავრო რვა მაზრად დაჰყო (ზუგდიდის, ჯვარის, ზუბის, სუჯუნის, საჭილაოს, მარტვილის, ლაილაშის და მურის მაზრებად), მაზრას სათავეში ედგა მთავრის მიერ დანიშნული მდივანბეგი, რომელიც აღჭურვილი იყო როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციულ-აღმასრულებელი ხელისუფლებით.

ოდიშის სამთავროში მდივანბეგის სახელის შესახებ ცნობები XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაგვაჩნია. წყაროებში მოხსენიებული პირველი მდივანბეგია 1781 წელს კაცია დადიანის მიერ ცაცუ ასათიანისთვის ბოძებული წყალობის წიგნში მოწმედ დასახელებული „მდივანბეგი ბატონიშვილი გიორგი“ (ქუთაისის მუზეუმი, საბ. #756).

რაფიელ ერისთავის ცნობით, დავით დადიანის მიერ 1840 წელს სასამართლო და ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარებამდე, სამეგრელოს სამთავროში სამი მდივანბეგი ყოფილა (ბოროზდინი, ერისთავი, მურიე,

---

[2] **Badri (kakha) Kvaratskhelia.** Doctor of Law, associate professor of Sokhumi State University.

1927: 116), მაგრამ რეფორმების გატარების შემდეგ მათი რაოდენობა გაზრდილა, რაც მთავრის ხელისუფლების გაძლიერებაზე მიუთითებს.

მამია დუმბაძე, როგორც ჩანს თვლიდა, რომ ლევან V დადიანის დროინდელი სამეგრელოს უზენაეს სასამართლოში სამი მდივანბეგი იყო, მათ შორის ერთი მდივანბეგი უხუცესი ყოფილა (დუმბაძე, 1949: 33).

მდივანბეგის სასამართლო კომპეტენცია ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში, მსგავსად სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისა, საკმაოდ ფართო იყო, რადგან მთავარი მდივანბეგის სახელის უფლებამოსილებების გაფართოებით ესწრაფვოდა ფეოდალური თვითნებობების ალაგმვას და მათი სასამართლო უფლებების შეკვეცას (ლეკვეიშვილი, 1958: 45).

ლევან V დადიანის დროს არსებობდა სამეგრელოს უზენაესი სასამართლო, რომელსაც აგრეთვე უწოდებდნენ „უმაღლეს სასამართლოს“ (საისტორიო არქივი: 1442). ამ უმაღლეს სასამართლოს მუდმივი სამყოფელი არ ჰქონია. რუსი მოხელე კორვის გადმოცემით, რომელიც სამეგრელოს სამთავროში იმყოფებოდა, საუბარია, რომ მოსამართლეები სამეგრელოს სამთავროში დადიან, საჩივრებს ადგილობრივ იხილავენ და თუ საჭირო იქნება ელოდებიან თავმჯდომარის (ანუ მსაჯულთუხუცესების) ან მთავრის მიერ დამტკიცებას.

ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში ხშირად სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებლად, ბოქაულიც გვევლინება, რადგან ის დამატებითი შემოსავლის - საბოქაულოს მიღების საშუალებას შეიცავდა. როგორც 1848 წელს დავით დაიდიანის მიერ მაზრის მდივანბეგისადმი გაცემული ერთი ბრძანებიდან ჩანს „მაზრის მდივანბეგები დაედგინა მაზრებში ხელმძღვანელებად მიეცათ წესად, რითამცა საბოქაულოდ მიეღოთ ოცისთავი და ისიც მაშინ, როდესაც საქმე დაბოლოვდებოდა, მდივანბეგები თურმე ათისთავს იღებდნენ და ისიც „უსისულ საქმეზედ“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ერისთავის ფონდი, საბ. 360, ფურც. 57).

ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს XIX საუკუნის მსაჯულთუხუცესთა (მდივანბეგუხუცესთა) ქრონოლოგია შემდეგნაირად წესრიგდება:

1. ნიკო დადიანი - (ნიკო დიდი) 1816-1825 წწ.
2. გიორგი დადიანი - 1825 წ. (რამდენიმე თვე).
3. ნიკო დადიანი - (დიდი ნიკო) 1825-1832 წწ.
4. პეტრე დადიანი - 1832 წ. (რამდენიმე თვე).
5. ნიკო დადიანი - (დიდი ნიკო) 1832-1834 წწ .
6. გიორგი დადიანი - 1834-1835 წწ.(მეორედ).
7.ნიკო დადიანი - (ნიკო მეორე 1836-1844 წწ.

ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი მაზრის მდივანბეგს და მის თანაშემწეს თვითონ ნიშნავდა და ათავისუფლებდა, რამაც უპირველეს ყოვლისა გამორიცხა ყოველგვარი მემკვიდრეობა, რომელიც სამეგრელოს (ოდიშის) ძველ ადმინისტრაციულ სისტემას ახასიათებდა.

1846 წლის 26 იანვარს მთავარმა დავით დადიანმა გამოსცა „დარიგება მეორე კლასის მდივანბეგთადმი შესახსენებლად მმართველობისა მათ მიერ მაზრითა“, რომელიც შედგებოდა 90 მუხლისაგან.

დავით დადიანმა მაზრის მდივანბეგებს დააკისრა მაზრის ყოველგვარი საქმეების გამგებლობა. „დაიცავით საკუთრება თითოეულისა და ალაგმეთ დადიანი თვითმნებლობითისა მოქმედებასა შინა მათსა, რამეთუ ყოველი დარწმუნებული უშიშროებისათვის სჯულიერაც განკარგვად თვისასა საკუთვნებლისა და დარწმუნებული, რომელ ნაყოფნი შისიმისა მისისანი არსა მიიღებიან ძლიერისა მიერ განაღვიძებს თავსა თვისსა, რათა შეიქმნას სასარგებლო სახლეურობისა და თვით მამულისაცა“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1985: 757-758).

დავით დადიანის ზემოთ ხსენებული „დარიგები“ ამ მეექვსე მუხლში განცხადებულია ის, რაზედაც ამ ნიჭიერი მთავრის აზრით უნდა დაფუძნებულიყო სამთავროს მმართველობა და რაც უნდა გამხდარიყო საწინდარი მის საბრძანებელში წესრიგისა და კანონის პატივისცემისა.

მაზრის მდივანბეგი პირველ რიგში მაინც მოსამართლე იყო. დავით დადიანის ამ „დარიგების“ მე-15 მუხლში ნათქვამია:„მიიღებთ საჩივართა თქვენდა რწმუნებულის მაზრისა ცხოვრებთა თუ სიტყვიერთა თუ წერილობითა, განიხილვიდეთ მათდა. გარდასწყვეტდეთ საფუსძვლისა ზედა არსებულის სამთავროსა შინა მენგრულიისა სჯულდებულებათსა საჭიროებასა შინა ძველისაცა ქვეყნის ჩვეულებისა“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1985: 757).

დავით დადიანი ავალებდა მაზრის მდივანბეგებს, რომ გარდა სამეგრელოში არსებული „სჯულდებულისა“ (აქ კი ისევე როგორც მთელ საქართველოში ვახტანგ მეფის კანონები მოქმედებდა), საჭიროების შემთხვევაში ჩვეულებითი სამართალიც გამოეყენებინათ პრაქტიკაში. ამასთან ამ „დარიგების“ მეჩვიდმეტე მუხლი მაზრის მდივანბეგებს ავალდებულებდა ყველა მომჩივანისათვის პასუხის დაუყოვნებლივ გაეცათ.

სამაზრო მდივანბეგებს უფლება ჰქონდათ გაერჩიათ და განჩინება შეედგინათ „იმ საქმეთა ზედა, რომელნი იქნებიან არაუმეტეს ასს ორმოცდაათი მანეთისა“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1985: 759). ამასთან განაჩენი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ დაესრულებინათ, თუ ორივე მხარე იქნებოდა კმაყოფილი, თუ ერთ-ერთი მხარე უკმაყოფილო იყო, მაზრის მდივან-

ბეგს ევალებოდა საქმე უმაღლესი სასამართლოსათვის გადაეცა „განსახილველად და დასაბოლოოვებლად“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1985: 760). მაზრის მდივანბეგს ფუნქციები დაეკისრა და ამ მიზნით მის მიერვე ამორჩეული ოთხი იასაულის ყოლის უფლება მიეცა, ამასთან დავით დადიანმა ბოქაულის ინსტიტუტი გააუქმა და მათ ნაცვლად იასაულის ინსტიტუტი დააწესა. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ „ბოქაულები და მთავრის მაგიერი კაცები იყვნენ“ მავნებელი ცხოვრებითა. მაზრები „რომელ ჩაერეოდნენ ცხოვრებთა არსში ზოგავდნენ უკანასკნელსა სარჩო-საბადებელისა მიღებით“ - ვკითხულობთ (ქართული სამართლის ძეგლები, 1985: 758).

მაზრის მდივანბეგი, რომელსაც დავით დადიანი მაზრის გამგებელსაც უწოდებდა, ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა იმისთვის, რომ მაზრაში გადამდები ავადმყოფობა არ გავრცელებულიყო. „უკეთუ ოსიმელისამე სიკვდილისა შინა გამოჩნდეს ადამიანთა შორის სნეულება ანუ პირუტყვის ჭირი. მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინათ მთავრისათვის და მიეღოთ ზომები, „რათა ქვემდებარენი სნეულებისადმი იყვნენ განცალკევებულნი კართა მყოფთაგან, რათა შეერთებით ერთი მეორისა თანა არ გახშირდეს სნეულება“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1985: 757).

ბერებს დააკისრა წესიერების კანონისადმი მორჩილება. „განამხნევეთ იგინი მიწის მოქმედებისა მამულის განმკლავებისა და ვაჭრობისა, განაშობეთ იგინი მცონარეებისაგან, რომელთა არს დედა ყოველთა ბიწიერთა“ (კეკელია, 1982: 71), მოძღვრავდა დავით დადიანი მდივანბეგებს. მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს მდივანბეგთა სია მაზრების მიხედვით ასე გამოიყურებოდა, რომელიც დამყარებული იყო Ковказекий календарь-ის მონაცემებზე და სხვა დოკუმენტებზე.

ზუგდიდის მაზრის მდივანბეგები:

1. თეიმურაზ სიმონის ძე აგიაშვილი 1842-1850 წწ.
2. კაცია გიორგის ძე ჩიჩუა 1851 წ.
3. დუტუ მანუჩარის ძე დადიანი 1852-1854 წწ.
4. ნიკო ბესარიონის ძე დადიანი 1855-1856 წწ.

ჯვარის მაზრის მდივანბეგნი:

1. გიორგი დადიანი 1845 წ.
2. ივანე ოტიას ძე ჩიქოვანი 1845-1854 წწ.
3. სიმონ მიხეილის ძე ჩიქოვანი 1852-1854 წწ. (იმავდროულად უზენაესი სასამართლოს მდივანბეგი)
4. კაცია გიორგის ძე დადიანი 1855-1856 წწ.

სუჯუნის მაზრის მდივანბეგნი:

1. ალექსი დადიანი 1842-1844 წწ. (საქართველოს საისტორიო არქივი 1448 საქმე #3157, ქუთაისის მუზეუმი სბ. 1595)
2. ვამეხ გიორგის ძე დადიანი 1848-1850 წწ.
3. ტარიელი ალექსანდრეს ძე დადიანი 1851-1854 წწ.
4.ალექსანდრე კაციას ძე დადიანი 1855-1856 წწ.

მარტვილის მაზრის მდივანბეგნი:

1. ალექსანდრე მიქას ძე 1828 წ. (ზუგდიდის მუზეუმი,ლიტერატურული არქივი საბ. #8015)
2. ანტონ ივანეს ძე ახვლედიანი 1848-1850 წწ.
3. მაქსიმე ქოჩაკიძე 1850-1854 წწ.
4.ელიზბარ მანუჩარის ძე დადიანი 1855-1856 წწ.

დავით დადიანი ცდილობდა სამთავრო კარის მაღალჩინოსანთა და უფრო დაბალი თანამდებობის მოხელეებისათვის ფუნქციებისა და უფლებების განსაზღვრას. 1851 წელს თავისი ძმის კონსტანტინე დადიანის ბოქაულთუხუცესის დანიშვნასთან დაკავშირებით გამოსცა ბრძანება, რომელსაც ეწოდება „დაწესება ბოქაულთუხუცესისათვის“. ეს დოკუმენტი 5 თავისა და 17 მუხლისგან შედგებოდა, მასში განსაზღვრულია ბოქაულთუხუცესის თანამდებობრივი ხარისხი („ხარისხთა თვისათა ეთანასწორების სახლთუხუცესს და მსაჯულთუხუცეს“). დადგენილია, თუ რომელი თანამდებობის პირებთან აწარმოებდა თანასწორ მიწერ-მოწერას (ასეთებად დასახელებულია უზენაესი სასამართლოს მდივანბეგები და შინათყმათუხუცესი), ვისთვის შეეძლო ბრძანების გაცემა თავისი ფუნქციების ფარგლებში. ამასთან ეს „დაწესება“ ასახელებს მაზრის მდივანბეგებს, ქალაქთ უხუცესებსა და გამგეთ ქალაქისას. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ ბოქაულთუხუცესთან შესუ-ლიყვნენ მოხსენებით (ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VIII, 1985: 771).

„დაწესებაში“ დაწვრილებით არის განსაზღვრული ბოქაულთუხუცესის მოვალეობანი და ცალკეულ შემთხვევაში მისი მოქმედების რეჟიმი და კომპეტენციის ფარგლები. ბოქაულთუხუცესი ვალდებული ხდებოდა მთავრისათვის ყოველთვიურად წარედგინა ანგარიში.

ბოქაულთუხუცესისთვის განსაზღვრული იყო სამთავრო შემოსავლის ოცისთავი სამი გადასახადისაგან (საბრიყვოდან, ჯარიმიდან და ნაქურდალიდან) და ეს სამი მას მაზრის მდივანბეგისაგან უდა მიეღო.

„დაწესებაში“ განსაზღვრული იყო პასუხისმგებლობა ბოქაულთუხუცესისა თავის მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზიანი, რომელიც მოხდა მისი დაუდევრობისაგან, იგი „თანდებ არს იზღვიოს“, ლაპარაკია „დაწესების“ მე-17 მუხლში.

გარდა ზემოთ ხსენებული ორი „დაწესებისა“ დავით დადიანის მიერ გამოცემულ იქნა არაერთი განკარგულება თუ ბრძანება, რომელთაც კორექტივები შეჰქონდათ, როგორც სამეგრელოში გამოყენებულ კანონებში (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი), ასევე მეგრულ ჩვეულებათა სამართალშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბოროზდინი, ერისთავი, მურიე (1927) კორნელი ბოროზდინი, რაფიელ ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები), თარგმანი და წინასიტყვაობა თედო სახოკიასი;

დოლიძე (1985). ისიდორე დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები.ტ. VIII. თბილისი;

დუმბაძე (1949). მამია დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში. „მიმომხილველი“;თბილისი;

ზუგდიდისისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ლიტერატურული არქივი, საბ N8015;

კეკელია (1982). მ. კეკელია. სასამართლოს ორგანიზაცია და პროცესი საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. წიგ. 11. თბილისი.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საბ. #360;

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი საბ. #756;

დოლიძე (1985). ისიდორე დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები.ტ. VIII. თბილისი.